განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არქიტექტურა (ბაკალავრიატი)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

20 ნოემბერი 2017

დასკვნის წარდგენის თარიღი

22 იანვარი 2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**229275405**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**არქიტექტურა (ინგლისურენოვანი)**
განათლების საფეხური	**ბაკალავრიატი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**არქიტექტურის ბაკალავრი (Bachelor of Architecture) 1101**
სწავლების ენა	**ინგლისური**
კრედიტების რაოდენობა	**240**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**ახალი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ შავიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა იაშვილი - სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი სულაბერიძე -არტსტუდიო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქურდიანი - სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელია დამოუკიდებელ საქართველოში. იგი დაარსდა 1995 წელს და ამჟამად სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნეს მართვის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის, განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, და სამართლის ფაკულტეტებზე 2400 სტუდენტამდე მოითვლის.

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაცხადებული მისიაა მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, ადამიანური ღირებულებებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულები, რომლებიც მოწოდებულები იქნებიან მუდმივად აიმაღლონ განათლების დონე, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებაში.

- არქიტექტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტზე. ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნაზე, ხომ არ იქნებოდა უპრიანი პროგრამა განხორციელებულიყო სხვა, ექსპერტთა აზრით, უფრო შესატყვის ფაკულტეტზე, მაგ., განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გვიპასუხეს, რომ მათ მიერ შერჩეული ფაკულტეტი უფრო სათანადოდაა მომზადებული ახალი პროგრამის მისაღებად. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, აქ იგულისხმებოდა ინფრასტრუქტურით, კადრებით და სათანადო სივრცეებით უზრუნველყოფა.

- არქიტექტურის ბაკალავრის მომზადების ინგლისურენოვანი პროგრამის მიზანი, რომელიც ჩამოყალიბებულია პროგრამის საწყის გვერდებზე, ზოგადად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და გულისხმობს არქიტექტორის პროფესიისათვის აუცილებელი საფუძვლიანი თეორიული ცოდნითა და უნარჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. პროგრამის ავტორთა აზრით, უნივერსიტეტში სტუდენტთა მიერ შეძენილი უნარჩვევები გულისხმობს საპროექტო არეალის მახასიათებლების განსაზღვრის, ესკიზებისა და არსებული სამშენებლო ნორმატივების გამოყენებით პროფესიონალური არქიტექტურული პროექტების კეთების უნარს.

- თვითშეფასების ანგარიშში კი პროგრამის მიზანი განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული: აღმიშნული დოკუმენტის მიხედვით, იგი მიზნად უნდა ისახავდეს სტუდენტთა უზრუნველყოფას არა მარტო თეორიული ცოდნით, არამედ პრაქტიკული გამოცდილებითაც სხვადასხვა საწარმოებსა და საპროექტო სტუდიებში პრაქტიკის ორგანიზების ხელშეწყობით, რაც აუცილებელია დღევანდელი კონკურენტული ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თვითშეფასების ანგარიშში ასევე წერია, რომ პროგრამის მიზანია, აღნიშნულის გარდა, კომუნიკაციის, ინტელექტუალური და პიროვნებათაშორის ურთიერთობების უნარჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

- აღსანიშნავია, რომ პროგრამის ავტორთა აზრით, არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა გულისხმობდეს სწავლების პროცესისთვის აუცილებელი პირობების შექმნას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მაქსიმალურად გამოიყენონ პროგრამის მიერ მათთვის შეთავაზებული შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ განაპირობებს პროფესიული განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობას. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ამ განცხადებაში შემოთავაზებულია პროგრამის შესრულების პირობა, რისი მეშვეობითაც უნდა მოხდეს გაცხადებული მიზნების მიღწევა.

- სხვა მიზანთა შორის მოყვანილია, მაგალითად, სურვილი მოამზადონ სტუდენტი სწავლის გაგრძელებისათვის შემდგომ - სამაგისტრო საფეხურზე, იყოს მოთხოვნადი სპეციალისტი და კარგად დასაქმდეს შრომის ბაზარზე.

- არქიტექტურის საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. მასში სავალდებულო და დამატებითი ან/და არჩევითი კომპონენტების თანაფარდობაა 135/105 კრედიტის ოდენობით, რაც, პროგრამის ავტორთა აზრით, სტუდენტს პროფესიული ჩამოყალიბების, ზრდის და განვითარების საშუალებას აძლევს. ამით, მას შუძლია თვითონ შექმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საკუთარი პროფილი, პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე.

- 240 ECTS კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:
  - თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS კრედიტი;
  - დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა ან/და თავისუფალი კრედიტები - 60 ECTS;
  - სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 105 ECTS კრედიტი;
  - პრაქტიკა - 5 ECTS კრედიტი;
  - საბაკალავრო ნაშრომი - 10 ECTS კრედიტი;
  - სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 ECTS კრედიტი.
  - აკადემიური წერა - 5 ECTS კრედიტი;
  - ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 ECTS კრედიტი;
  - უცხო ენა - 15 ECTS კრედიტი.

- საბაკალავრო პროგრამაზე არქიტექტურაში უნივერსიტეტი ვარაუდობს არაუმეტეს 10 სტუდენტის მიღებას. სწავლის საფასური ახალი პროგრამის მსურველთათვის იქნება 3000 ამერიკული დოლარის ექვივალენტს უცხოელთათვის და 5000 ლარს საქართველოს მოქალაქეთათვის. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) ხელმძღვანელობის განმარტებით, ახალი პროგრამა არ მოითხოვს დამატებით ხარჯებს, რადგან უნივერსიტეტში საკმარისია სივრცე, აუდიტორიები და ინფრასტრუქტურა, ასევე ზოგადასაუნივერსიტეტო საგნების ლექტორები, ანუ საჭირო ხარჯი უკვე გაწეულია და სტუდენტების გადასახადი საკმარისია დამატებითი ფინანსური (მაგ., სპეციალიზირებული საგნების ლექტორების მოწვევის) ხარჯების დასაფარად.

- IBSU-ს ინგლისურენოვან არქიტექტურულ საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნა განისაზღვრება ტესტირებით B1 დონის გამოსავლენად. წარმატებული ტესტის შემდეგ სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის არჩევისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა გააძლიეროს ინგლისური ენის ცოდნა B1 დონემდე უკვე თავად IBSU-ში. მაგრამ ამ შემთხვევაში ენის ცოდნის გამოცხადებული კრიტერიუმი და ინგლისურის სწავლა უნივერსიტეტში ერთმანეთთან წინააღმდეგობაში შედის: როგორ შეიძლება მიიღო ბაკალავრიატში ადამიანი, რომელმაც ტესტი ვერ გადალახა და შესთავაზო მას უნივერსიტეტში აითვისოს ინგლისური ენა? ეს გასაგები იქნებოდა, თუ ციტირებული ფრაზა შეეხებოდა მხოლოდ უცხოელ სტუდენტებს, რომლებსაც არ უწევთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. სამწუხაროდ, ეს წინააღმდეგობა ვერ იქნა გადალახული პროგრამის ავტორებთან შეხვედრის დროს.

- IBSU-ს ინგლისურენოვან არქიტექტურულ საბაკალავრო პროგრამიდან ჩანს, რომ B1-ზე ტესტის ჩაუბარებლობის შემთხვევაში სტუდენტს, მიუხედავთ იმისა, ეროვნული გამოცდებით მოხვდა იგი უმაღლეს სასწავლებელში თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეა, მოუწევს პირველი სამი სემესტრის განმავლობაში ერთდროულად ისწავლოს როგორც ინგლისური ენა,

რათა აითვისოს თუნდაც B1 და დაეწიოს თავის თანაკურსელებს, ასევე ინგლისურ ენაზე გაიაროს რთული, დატვირთული და ლიტერატურით გაჯერებული საგნები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
- ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2017 წლის 20 ნოემბერს, 10:00-დან 17:00-მდე. IBSU მდებარეობს დიღმის ტერიტორიაზე, მის. აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კილომეტრზე. კამპუსი შემოღობილი და გამწვანებულია, მასში მყუდრო გარემოა შექმნილი. ადმინისტრაციის შენობა ყოფ. საერთო საცხოვრებლის გადაკეთებულ ნაგებობაშია, თუმცა შეხვედრისას გამოირკვა, რომ ცნობილი იტალიელი არქიტექტორის მიკელე დე ლუკის დაპროექტებული (მისი პროექტებით თბილისში აგებულია მშვიდობის ხიდი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი შენობა) IBSU-ს ახალი კამპუსის პირველი ნაგებობა ქალაქის საპირისპირო ბოლოს - თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიდამოებში უკვე მზადაა, მალე დამთავრდება მთლიანად კამპუსიც და უნივერსიტეტი მისამართს შეიცვლის. ჩვენს შეკითხვაზე, დაგეგმილია თუ არა არქიტექტუერის ინგლისურენოვანი სწავლების დაწყება ახალ კამპუსში, დადებითი პასუხი მივიღეთ, თუმცა აქვე გაირკვა, რომ უნივერსიტეტი ამ ძველი კამპუსის გამოიყენებას გააგრძელებს. ამ ეტაპზე გაურკვეველი ჩანს, როგორ მოხდება მომავალში სწავლება და მართვა ამ ორ ესოდენ ერთმანეთისგან დაშორებულ კამპუსებში.

- რაც შეეხება არსებულ კამპუსს, მისი შენობები სწავლების ორგანიზაციისთვის ვარგისია, აქვე შექმნილია სათანადო გარემო ბიბლიოთეკაში მუშაობისთვის, კვებისთვის, სპორტული ცხოვრებისთვის - ყველაფერი ეს სხვადასხვა ნაგებობეშია გადანაწილებული.

- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მრავალწლიანი გამოცდილებით გამოირჩევა. IBSU-ს ხელმძღვანელების პასუხები დასმულ კითხვებზე დამაჯერებელი იყო, მათი პროფესიული კვალიფიკაცია და ახალი ინგლისურენოვანი პროგრამის მიმართ გამოჩენილი ენთუზიაზმი ეჭვს არ იწვევს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, მთლიანად IBSU ფუნქციონირებს ორგანიზებულად, ახალი პროგრამა მისი ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით სარგებლობს.

- ვინაიდან პროგრამა ახალია, ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეხვდებოდა მის კურსდამთავრებულებს ან სტუდენტებს. ამის ნაცვლად, ჩატარდა შეხვედრები იმ ფაკულტეტის სტუდენტებთა და კურსდამთავრებულებთან, სადაც ახალი პროგრამა იქნება შემოთავაზებული - კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის. ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის უცხოელმა და ქართველმა სტუდენტებმა ინგლისური ენის ცოდნის საუკეთესო დონე გამოავლინეს და ადექვატურად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს, ხოლო ვებ დიზაინის სპეციალობის კურსდამთავრებულებმა ქებით მოიხსენიეს როგორც IBSU, ასევე ლექტორები, რომლებმაც, როგორც თავად განაცხადეს, განსაზღვრეს მათი პროფესიის არჩევანი და დიდათ დაეხმარენ საკუთარ საქმიანობაში წარმატების მიღწევაში.

- უნივერსიტეტი საერთოდ ზრუნავს საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმებაზე, მონიტორინგს აწარმოებს მათ საქმიანობაზე და ინარჩუნებს მათთან მჭიდრო ურთიერთობას. ექპერტთა ჯგუფი გაეცნო IBSU-ს 2700-კაციან კომპიუტერულ მონაცემთა ბაზას. გაირკვა, რომ ალუმნების ბორდი წარმატებით მუშაობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, აკონტროლებს კურდამთავრებულების დასაქმების მდგრადობას, ასევე სთავაზობს ახალ ვაკანსიებს. ექპსერთა ჯგუფის წევრთა აზრით, ეს მისაბაძი პრაქტიკაა და კარგი გამოცდილებაა სხვა უმაღლესი სასწავლებლებისთვის.

- ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დიღმის არსებული კამპუსის სხვადასხვა შენობებს, დაათვალიერა აუდიტორიები, სამეცადინო ოთახები და კომპიუტერული კლასები, გაეცნო ბიბლიოთეკას და სასადილოს. ბიბლიოთეკაში ამჟამად ჯერ არ არის არქიტექტურის ახალი პროგრამისთვის გათვალისწინებული წიგნები, თუმცა დაგვანახეს ის თაროები, სადაც ისინი უნდა განლაგდნენ. სასადილოში ამზადებენ ცხელ კერძებს და ჩანს, რომ იგი მოწონებით სარგებლობს სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის.

- ვიზიტის შედეგად ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, მისი მმართველობის გამოცდილებითა და მეთოდებით, ამჟამინდელი და მომავალი IBSU-ს ინფრასტრუქტურა სრულიად ადექვატურია ახალი პროგრამის მისაღებად და განსახორციელებლად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
- პროგრამა ორ მნიშვნელოვან ნაწილად იყოფა: სპეციალიზირებულ და სხვა, რომელშიც შედის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა (ე.წ. Minor) ან/და თავისუფალი კრედიტები სულ 60 ECTS, და თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS. თვითშეფასების ჯგუფის განმარტებით, ეს ნაწილი აირჩევა IBSU-ს შემდეგი საბაკალავრო პროგრამებიდან: ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, საჯარო ადმინისტრაცია და სახელმწიფო მმართველობა, ჟურნალისტიკა, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა და მენეჯმენტი, ფინანსები, ტურიზმი, მრეწველობის მართვა და ტექნოლოგია, ინფორმატიკა, ამერიკის სწავლებანი და ინგლისური ფილოლოგია.

- საერთო-საუნივერსიტეტო საგნები ჯამში შეადგენს, ზემოდაღნიშნულთან ერთად, 95 ECTS. მე-4 კურსელებს აქვთ აგრეთვე არჩევანი სოციოლოგიას და მართვის პრინციპებს შორის (5 ECTS). ამით, საერთო საუნივერსიტეტო საგნების წილი მთლიან პროგრამაში აღწევს 100 ECTS-ს, რაც სპეციალიზირებულ საგნების წილად ტოვებს 140 ECTS-ს.

- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შემოთვაზებულ პროგრამაში გამოიკვეთა დისბალანსი სპეციალიზირებულ და ზოგად-საუნივერსიტეტო საგნებს შორის ამ უკანასკნელთა სიჭარბით. ექსპერთა ჯგუფის აზრით, უახლოეს წლებში, როცა არქიტექტურის პროფესია უკვე მომზადებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე რეგულირებადი გახდება, ზოგადი საგნების სიჭარბე IBSU-ს აქრიტექტურის ახალი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამაში ვეღარ უზრუნველყოფს სტანდარტის მოსალოდნელ ამაღლებულ მოთხოვნებს.

- ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამგვარი დისპროპორციული განაწილება სპეციალიზირებულ და ზოგად საუნივერსიტეტო საგნებს შორის, წარმოადგენს პროგრამის სერიოზულ, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვან ნაკლს.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ნაკლად ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მიიჩნია პროგრამის მთავარი - საპროექტო კომპონენტის ჩამოყალიბებისას უარის თქმა ე.წ. სტუდიური სწავლების პრინციპებზე. პროგრამაში გათვალისწინებულია არქიტექტურული პროექტირების შესწავლის შედარებით უფრო ტრადიციული მოდელი, რომელიც ემყარება მცირედან საშუალო ზომის პროექტირებაზე თანდათანობით გადასვლას და დასრულებას მსხვილი პროექტით. ამ მოდელს, თუმცა კი მას კვლავაც იყენებენ რიგ არქიტექტურულ სკოლებში საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, შემოქმედებითი აზროვნების, კრეატიულობის, ინოვაციის და ახალი იდეების გენერირების ნაკლები სტიმულირება შეუძლია. მასში, მიუხედავად პროგრამაში შეტანილი სათანადო მეთოდიკისა, სინამდვილეში ნაკლები ადგილი ეთმობა გონებრივ იერიშს (Brainstorming), ჯგუფურ მუშაობას, პრობლემებზე დამყარებულ სწავლებას (PBL), კრიტიკული ანალიზს და ა.შ.

- **რეკომენდაციები**
- ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ საჭიროა დაბალანსდეს პროპორცია სპეციალიზირებულ და ზოგად საუნივერსიტეტო საგნებს შორის არქიტექტურული სწავლებისთვის აუცილებელი დისციპლინების სასარგებლოდ.

- სასურველია საპროექტო კლასები ჩანაცვლდეს სწავლების სტუდიური ფორმით.

- ექსპერტთა ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაკალავრიატის გამომშვებ სემესტრში გამომებნილიყო სათანადო საკრედიტო რესურსი და სავალდებულოთა კატეგორიაში გადასულიყო ის დისციპლინები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ, მაღალი კვალიფიკაციის არქიტექტორის უკეთ ჩამოყალიბებას. კერძოდ, ექსპერტა ჯგუფი თვლის, რომ არჩევითი სოციოლოგია და მენეჯმენტი, რომლებიც წარმოდგენილია მე-4 კურსის მეორე სემესტრში (ანუ იმ დროს, როცა მიმდინარეობს სადიპლომო პროექტირება), შესაძლებელია გადანაცვლდეს უფრო ადრეულ პერიოდზე და შევიდეს უნივერსიტეტის სხვა სპეციალობებიდან შემოთავაზებულ დამატებით საგამანათლებლო პროგრამაში და/ან თავისუფალ კრედიტებში, ხოლო გამოთავისუფლებული 5 ECTS დამატებულიყო სადიპლომო პროექტს.

- ასევე, ვინაიდან უნივერსიტეტის სხვა სპეციალობებიდან შემოთავაზებული დამატებითი საგამანათლებლო პროგრამა ან/და თავისუფალი კრედიტები ჯამში დისპროპორციულად დიდ ადგილს იკავაბენ (70 ECTS), ექსპერტთა ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს, რომ მე-7 და მე-8 სემესტრებიდან საერთოდ ამოღებულ იქნას უნივერსიტეტის სხვა სპეციალობებიდან შემოთავაზებული თავისუფალი კრედიტები და გამოთავისუფლებული 10 ECTS-დან სტუდენტს დამატებითი არჩევანი მიეცეს პროგრამით გათვალისწინებული არქიტექტურის სპეციალიზირებული საგნებიდან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს პროგრამის ავტორებმა დააზუსტონ, შეეხება თუ არა ენის ტესტირების მოთხოვნა მხოლოდ უცხოელ სტუდენტებს, რომლებსაც არა აქვთ გასავლელი ეროვნული გამოცდები, და ასევე განუსაზღვრონ მათ სასტარტო ინგლისური ენის ცოდნის დონე B1-ზე.
- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს პროგრამის განმახორციელებლებს შექმნან სტუდია/სახელოსნო, რათა შემოქმედებითი პროცესი უკეთ იქნას უზრუნველყოფილი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- სტუდენტთა განცხადებები განიხილება, მოწმდება მათი ადეკვატურობა და მიიღება შესაფერისი გადაწყვეტილება. უნივერსიტეტის მხრიდან გუმჯობესებისკენ სწრაფვა აისახება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მჭიდრო ურთიერთობით და მათი აზრის გათვალისწინებით. უნივერსიტეტში შეხვედრის დროს, წარმოდგენილი იყო ელექტრონული მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ შავი ზღვის უნივერსიტეტს აქვს მჭიდრო ურთიერთობა კურსდამთავრებულებთან და ხშირად ატარებენ მათ გამოკითხვებს. ვინაიდან ეს კერძო უნივერსიტეტი უკვე 22 წელია არსებობს, მას შექმნილი აქვს მსოფლიოში ასე მიღებული Alumni კლუბი. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თქმით,

ეს შეფასება და გამოკითხვები ხელს უწყობს პროგრამების გაუმჯობესებას და უნივერსიტეტის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას.

- IBSU-ს 2700 კაციანი მონაცემთა ბაზა - ალუმნების ბორდი დიდი ხანია წარმატებით მუშაობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, აკონტროლებს კმაყოფილი კურდამთავრებულების დასაქმების მდგრადობას, ასევე სთავაზობს ახალ ვაკანსიებს. ეს მისაბაძია და მისასალმებელი.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნული პროგრამა შემოთავაზებულია ინგლისურ ენაზე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ. იგი ერთ-ერთი პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელია დამოუკიდებელ საქართველოში, დაარსებულია 1995 წელს და ამჟამად სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნეს მართვის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის, განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, და სამართლის ფაკულტეტებზე 2400 სტუდენტამდე მოითვლის. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაცხადებული მისიაა მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, ადამიანური ღირებულებებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულები, რომლებიც მოწოდებულები იქნებიან, მუდმივად აიმაღლონ განათლების დონე, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებაში. არქიტექტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტზე. ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნაზე, ხომ არ იქნებოდა უპრიანი პროგრამა განხორციელებულიყო სხვა, ექსპერტთა აზრით, უფრო შესატყვის ფაკულტეტზე, მაგ., განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გვიპასუხეს, რომ მათ მიერ შერჩეული ფაკულტეტი უფრო სათანადოდაა მომზადებული ახალი პროგრამის მისაღებად. პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და გულისხმობს, არქიტექტორის პროფესიისათვის აუცილებელი საფუძვლიანი თეორიული ცოდნითა და უნარჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. პროგრამის ავტორთა აზრით, უნივერსიტეტში სტუდენტთა მიერ შეძენილი უნარჩვევები გულისხმობს საპროექტო არეალის მახასიათებლების განსაზღვრის, ესკიზებისა და არსებული სამშენებლო ნორმატივების გამოყენებით პროფესიონალური არქიტექტურული პროექტების კეთების უნარს. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით კი, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტთა უზრუნველყოფას არა მარტო თეორიული ცოდნით, არამედ პრაქტიკული გამოცდილებითაც სხვადასხვა საწარმოებსა და საპროექტო სტუდიებში პრაქტიკის ორგანიზების ხელშეწყობით, რაც აუცილებელია დღევანდელი კონკურენტული ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; აქვე აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანია ასევე კომუნიკაციის, ინტელექტუალური და პიროვნებათაშორის ურთიერთობების უნარჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

აღსანისნავია, რომ პროგრამის ავტორთა აზრით, არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა გულისხმობდეს სწავლების პროცესისთვის აუცილებელი პირობების შექმნას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მაქსიმალურად გამოიყენონ პროგრამის მიერ მათთვის შეთავაზებული შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ განაპირობებს პროფესიული განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობას. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ამ განცხადებაში შემოთავაზებულია პროგრამის შესრულების პირობა, რის მეშვეობითაც უნდა შესრულდეს გაცხადებული მიზნები. სხვა მიზანთა შორის მოყვანილია, მაგალითად, სურვილი მოამზადონ სტუდენტი სწავლის გაგრძელებისათვის შემდგომ - სამაგისტრო საფეხურზე, იყოს მოთხოვნადი სპეციალისტი და კარგად დასაქმდეს შრომის ბაზარზე. თვითშეფასების ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ როგორც კერძო, ისე საჯარო ორგანიზაციაში არქიტექტურულ სექტორში (არქიტექტურულ-დიზაინერულ სტუდიებში, სამშენებლო კომპანიებში, უძრავი ქონების სააგენტოებში, მუნიციპალიტეტებში), სხვადასხვა ბიზნეს გაერთიანებებსა თუ საჯარო დაწესებულებებში. დასაქმების სფერო შეიძლება იყოს: არქიტექტურული პროექტირება, ქალაქგეგმარება, კონსულტაცია, პროექტის მართვა და სხვა მონათესავე მიმართულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ○ პროგრამა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ჯგუფის აზრით, წარმოდგენილი პროგრამა მისი შინაარსით - სასწავლო კურსებით, სწავლების მეთოდებით და კრედიტების მოცულობით - ნაწილობრივ უზრუნველყოფს გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას კურსების შინაარსის, კრედიტების რაოდენობისა და სწავლების მეთოდების გათვალისწინებით.

კერძოდ, საკითხავია, შეძლებს თუ არა ის სტუდენტი, ვისაც არ გააჩნია ინგლისურის ცოდნა B1 დონეზე, ინგლისური ენა უკვე უნივერსიტეტში გაიუმჯობესოს და, ერთდროულად, ინგლისურ ენაზე მოწოდებულ რთულ თეორიულ საგნებს სრულყოფილად დაეუფლოს.

სწავლების მეთოდების მხვრივ, აკრედიტაციის ჯგუფის აზრით, სასურველი იქნებოდა სასწავლო კლასები სტუდიური სწავლების მეთოდით შეცვლილიყო.

რაც შეეხება კრედიტების რაოდენობას, აკრედიტაციის ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა ამოღებულიყო ან/და თავისუფალი კრედიტები შემცირებულიყო - ეს ყველაფერი იმ მიზნით, რომ ზოგადსაუნივერსიტეტო და სპეციალიზირებული კრედიტების ბაკლანსი შეცვლილიყო ამ უკანასკნელთა გაზრდით.

სავალდებულო და დამატებითი ან/და არჩევითი კომპონენტების თანაფარდობა 130/110 კრედიტის ოდენობით, პროგრამის ავტორთა აზრით, სტუდენტს პროფესიული ჩამოყალიბების, ზრდის და განვითარების საშუალებას აძლევს. ამით, მას შუძლია თვითონ შექმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საკუთარი პროფილი, პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე.

- თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი;
- დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა ან/და თავისუფალი კრედიტები - 60 ECTS;
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 105 კრედიტი;
- პრაქტიკა - 5 კრედიტი;
- საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი;
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი.
- აკადემიური წერა - 5 კრედიტი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი;

- უცხო ენა - 15 კრედიტი;

IBSU-ს ინგლისურენოვან არქიტექტურულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნა განისაზღვრება ტესტირებით B1 დონის გამოსავლენად. წარმატებული ტესტის შემდეგ სტუდენტი *„თავისუფლდება ინგლისური ენის არჩევისგან“*, რაც ხდება *„იმ შემთხვევაშიც, თუ [იგი] წარმოადგენს B1 დონის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს.“*. ამავე დროს პროგრამაში წერია: *„ინგლისური ენის არჩევა სავალადებულოა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ტესტირების შედეგად ვერ ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნის B1 დონეს.“* აშკარა არის რომ, ამ შემთხვევაში გამოცხადებული კრიტერიუმი და ციტირებული ფრაზა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში შედის: როგორ შეიძლება მიიღო ბაკალავრიატში ადამიანი, რომელმაც ტესტი ვერ გადალახა და შესთავაზო მას უნივერსიტეტში აითვისოს ინგლისური ენა? ეს გასაგები იქნებოდა, თუ ციტირებული ფრაზა შეეხებოდა მხოლოდ უცხოელ სტუდენტებს, რომლებსაც არ უწევთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. სამწუხაროდ, ეს წინააღმდეგობა ვერ იქნა გადალახული პროგრამის ავტორებთან შეხვედრის დროს.

ტესტის ჩაუბარებლობის შემთხვევაში სტუდენტს მოუწევს პირველი სამი სემესტრის განმავლობაში ერთდროულად ისწავლოს როგორც ინგლისური ენა, რათა აითვისოს თუნდაც B1 და დაეწიოს თავის თანაკურსელებს, ასევე ისეთი რთული, დატვირთული და ლიტერატურით გაჯერებული საგნები როგორებიცაა: ARC 100 მათემატიკა, ARC 101 არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები, ARC 152 მასალები და კონსტრუქციები, ARC 153 არქიტექტურა და ხელოვნება, და ARC 154 არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას შეკითხვაზე ინგლისური ენის დონე სხვადასხვა იყო თუ არა ინგლისურენოვან საგნებში, მათ უპასუხეს - დიახ, განხსვავება იგრძნობოდა, თუმცა პროფესიულ ინგლისურს ყველა სწავლობდა და ჯგუფში არ იყო ისეთი სუსტი სტუდენტი, რომ სწავლა გასჭირვებოდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამა
- შეხვედრა პროგრამის ავტორებთან
- შეხვედრა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო როგორც პროგრამას, ასევე თვითშეფასების ანგარიშს, SWOT ანალიზს და ცალკეულ სილაბუსებს. მოცემული სასწავლო კურსის სწავლა/სწავლების მეთოდებს, სასწავლო კურსების და მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებს.
პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს.
პროგრამა ორ მნიშვნელოვან ნაწილად იყოფა: სპეციალიზირებულ და სხვ. ამ სხვაში შედის: დამატებიტი საგანმანათლებლო პროგრამა (ე.წ. Minor) ან/და თავისუფალი კრედიტები სულ 60 ECTS; აგრეთვე უბრალოდ თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS. ჯამში 70 ECTS. თვითშეფასების ჯგუფის განმარტებით, ეს ნაწილი აირჩევა IBSU-ს შემდეგი საბაკალავრო პროგრამებიდან: ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, საჯარო ადმინისტრაცია და სახელმწიფო მმართველობა, ჟურნალისტიკა, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა და მენეჯმენტი, ფინანსები, ტურიზმი, მრეწველობის მართვა და ტექნოლოგია, ინფორმატიკა, ამერიკის სწავლებანი და ინგლისური ფილოლოგია.

როგორც გამოირკვა: აკადემიური წერა (5 ECTS), ინფორმაციული ტექნოლოგიები (5 ECTS) და უცხო ენები (15 ECTS), ასევე საერთო-საუნივერსიტეტო საგნებია. ჯამში ეს შეადგენს 95 ECTS. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მე-4 კურსელებს აქვთ აგრეთვე არჩევანი: სოციოლოგიას და მართვის პრინციპებს შორის (5 ECTS), გამოდის, რომ საერთო საუნივერსიტეტო საგნების წილი მთლიან პროგრამაში მიაღწევს 100 ECTS-ს, რაც სპეციალიზირებულ საგნების წილად ტოვებს 140 ECTS-ს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შემოთვაზებულ პროგრამაში გამოიკვეთა დისბალანსი სპეციალიზირებულ და ზოგად-საუნივერსიტეტო საგნებს შორის ამ უკანასკნელთა სიჭარბით.

საქართველოში არქიტექტურა ჯერ არ არის შესული რეგულირებად პროფესიათა ნუსხაში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი საკანონმდებლო აქტები მზადაა უახლოეს პერიოდში გაიაროს სათანადო პროცედურები პარლამენტში, აღნიშნული პროგრამის ამოქმედების პერიოდისთვის, პროფესია გახდება რეგულირებადი და ზოგადი საგნების ეს სიჭარბე ვეღარ უზრუნველყოფს სტანდარტის მოსალოდნელ ამაღლებულ მოთხოვნებს.

ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამგვარი დისპროპორციული განაწილება სპეციალიზირებულ და ზოგად საუნივერსიტეტო საგნებს შორის, წარმოადგენს პროგრამის სერიოზულ, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვან ნაკლს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ნაკლად ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მიიჩნია პროგრამის მთავარი - საპროექტო კომპონენტის ჩამოყალიბებისას უარის თქმა ე.წ. სტუდიური სწავლების პრინციპებზე. პროგრამაში გათვალისწინებულია არქიტექტურული პროექტირების შესწავლის შედარებით უფრო ტრადიციული მოდელი, რომელიც ემყარება მცირედან საშუალო ზომის პროექტირებაზე თანდათანობით გადასვლას და დასრულებას მსხვილი პროექტით. ამ მოდელს, თუმცა კი მას კვლავაც იყენებენ რიგ არქიტექტურულ სკოლებში საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, შემოქმედებითი აზროვნების, კრეატიულობის, ინოვაციის და ახალი იდეების გენერირების ნაკლები სტიმულირება შეუძლია. მასში, მიუხედავად პროგრამაში შეტანილი სათანადო მეთოდიკისა,

სინამდვილეში ნაკლები ადგილი ეთმობა გონებრივ იერიშს (Brainstorming), ჯგუფურ მუშაობას, პრობლემებზე დამყარებულ სწავლებას (PBL), კრიტიკული ანალიზს და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამა ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: ○ ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ საჭიროა დაბალანსდეს პროპორცია სპეციალიზირებულ და ზოგად საუნივერსიტეტო საგნებს შორის არქიტექტურული სწავლებისთვის აუცილებელი დისციპლინების სასარგებლოდ. ○ სასურველია საპროექტო კლასები ჩანაცვლდეს სწავლების სტუდიური ფორმით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს პროგრამის ავტორებმა დააზუსტონ, შეეხება თუ არა ენის ტესტირების მოთხოვნა მხოლოდ უცხოელ სტუდენტებს, რომლებსაც არა აქვთ გასავლელი ეროვნული გამოცდები, და ასევე განუსაზღვრონ მათ სასტარტო ინგლისური ენის ცოდნის დონე B1-ზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის დროს პროგრამის შემქმნელ ჯგუფთან გასაუბრებით, ასევე თვითშფასების ანგარიშის შესწავლით გამოვლინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებულ ისეთ კომპონენტებს, როგორიც არის: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები. ასევე, მათი აზრით, პროგრამით მოწოდებული თეორიული ცოდნა და მისი ღრმად გააზრება უზრუნველყოფს მეცნიერულად დადასტურებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც აუცილებელია თანამედროვე, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების სწავლის შემდგომი საფეხურის განათლების მისაღებად.

შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული უნარჩვევები უზრუნველყოფენ, დასაქმების შემთხვევაში, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების უნარს, კომუნიკაციის უნარს, კოლეგებთან კომუნიკაციის უნარს და უწყვეტი განათლებისათვის აუცილებელ, დამოუკიდებელი მუშაობის უნარს. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მიმდინარე კანონმდებლობის მოქმედების პერიოდში ეს ყოველივე უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას როგორც საერთაშორისო მასშტაბით სწავლის გაგრძელების, ისე დასაქმების ბაზარზე. ამავე დროს ხაზგასასმელია, რომ პროგრამით დასახული უნარები უახლოეს მომავალში, როცა არქიტექტურის პროფესია რეგულირებადი გახდება, შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ SWOT ○ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამით, ○ სილაბუსებით. ○ გასაუბრებით თვითშეფასების ჯგუფთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის დროს დაგეგმილ შეხვედრებზე გავესაუბრეთ პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პროფესიონალებს, დამსაქმებლებს, ფაკულტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, აკადემიურ პერსონალს, რომელთა მონაწილეობა განაპირობებს პროგრამაში შემავალი დეტალების გათვლასა და სასწავლო კომპონენტების ერთმანეთთან შეჯერებას.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რექტორთან და პროგრამის ხელმძღვანელობასთან გასაუბრებისას, რექტორმა აღნიშნა, რომ დღეისათვის IBSU-ს ჰყავს 2 400 სტუდენტი 27 ქვეყნიდან, აქვთ ვაკანსია 100 ადგილზე. საბაკალავრო პროგრამაზე არქიტექტურაში უნივერსიტეტი ვარაუდობს არაუმეტეს 10 სტუდენტის მიღებას, სწავლის საფასური შეადგენ 3000 ამერიკული დოლარის ექვივალენტს უცხოელთათვის და 5000 ლარს საქართველოს მოქალაქეთათვის. რექტორის განმარტებით, ეს პროგრამა არ მოითხოვს არანაირ დამატებით ხარჯებს, რადგან უნივერსიტეტში საკმარისია სივრცე, აუდიტორიები და ინფრასტრუქტურა, ანუ ხარჯი უკვე გაწეულია და სტუდენტების გადასახადი საკმარისია დამატებითი ფინანსური ხარჯების დასაფარად.

IBSU-ს სურვილია სასწავლო პროცესში ჩართონ უცხოელი ლექტორები, მოიზიდონ საერთაშორისო პროფესიონალები და პროფესორ-მასწავლებლები, აღინიშნა, რომ მათ მრავალ უნივერსიტეტთან აქვთ პარტნიორობა და ყოველ წელს 10-15 ლექტორს იწვევენ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით და სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის საჭიროება, პროგრამის ხელმდძღვანელის მტკიცებით (იგი ადრე მოღვაწეობდა თურქეთში), გამოვლინდა ამ პროგრამის მიმართ რეგიონის სტუდენტების მზარდი ინტერესით.

ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს კომპიუტერული ინჟინერიის, ვებ-დეველოპმენტის და პროგრამირების სპეციალობით, რომელთაც აღნიშნეს, რომ შავი ზღვის უნივერსიტეტში ყოველწლიურად ბევრი რამ უკეთესობისკენ იცვლება, სტუდენტების ინიციატივით შეიქმნა ვებ-დეველოპმენტთა კლუბი და უნივერსიტეტის დაფინანსებით სტუდენტთათვის უფასოდ იმართება. მათ ხაზი გაუსვეს სწავლის დროს უნივერსიტეტის მხარდაჭერას და ალუმნის ცენტრის დახმარებას სამსახურის პოვნაში; მიესალმებიან ერთსემესტრიან სტაჟირებას მეორე - მესამე კურსზე სხვსდასხვა კომპნიაში, რაც პროგრამით არის გათვალისწინებული.

არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ხელშეწყობისათვის გაფორმებულია მემორანდუმი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, შპს „იქს ვაი ზეტ არქიტექტსთან“ და შპს „იქს ვაი ზეტ ბილდერსთან“. მერიის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე დაგვიდასტურეს, რომ მათ შეუძლიათ ერთ ჯერზე დაასაქმონ არა 10, არამედ 15 სტუდენტი, ასე რომ, მიესალმებიან ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს. უნივერსიტეტსა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა პროგრამის განვითარების, სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისა და კურსდამთავრებულების მომავალი დასაქმების გარანტიაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები
- გასაუბრებით თვეთშაფესაბის ჯგუფთან
- გასაუბრებით კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრებით დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ IBSU-ს 2700 კაციანი მონაცემთა ბაზა - ალუმნების ბორდი დიდი ხანია წარმატებით მუშაობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, აკონტროლებს კმაყოფილი კურდამთავრებულების დასაქმების მდგრადობას, ასევე სთავაზობს ახალ ვაკანსიებს. ეს მისაბაძია და მისასალმებელი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად და ვიზიტის განმავლობაში მისაღები გამოცდების შესახებ ექსპერტთა შეკითხვების პასუხად გამოირკვა, რომ ადმინისტრაციის მიდგომა ასეთია: მათ აღნიშნეს, რომ მიუხედავად დარგის სპეციფიკისა (იგი აერთიანებს საინჟინრო და შემოქმედებით უნარებს), სპეციალური ტური არ იგეგმება; პროგრამაზე მიღების წინაპირობები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამაზე დაშვება გამჭვირვალეა და წინაპირობებია:

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დროს შეკითხვაზე, იგეგმება თუ არა სტუდიური მუშაობა პროგრამის მთავარი - საპროექტო კომპონენტის ჩამოყალიბებისას, უარი მიიღო. ექსპერტთა აზრით აღნიშნული ე.წ. სტუდიური სწავლების პრინციპი ერთ-ერთი ყველაზე რელევანტური სწავლის მეთოდია თანამედროვე წარმატებული სკოლების ანალოგიით. თუმცა, პროგრამაში გათვალისწინებული არქიტექტურული პროექტირების შესწავლის შედარებით უფრო ტრადიციული მოდელი, რომელიც ემყარება მცირედან საშუალო ზომის პროექტირებაზე თანდათანობით გადასვლას და დასრულებას მსხვილი პროექტით, კვლავაც გამოყენებადია რიგ არქიტექტურულ სკოლებში საქართველოშიც, და მის ფარგლებს გარეთაც.

პროგრამის ავტორთა მიერ შედგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სხვადასხვა კომპონენტებში გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მათი განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა. ამ მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით: პრეზენტაცია (ლექტორის მიერ), დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (case study), გონებრივი იერიში (brain storming), დისკუსია / დებატები, პროექტი, პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ), ელექტრონული საშუალებებით სწავლება, ამოცანების ამოხსნა, პრობლემების გადაჭრა, ჯგუფური მუშაობა, წიგნზე მუშაობა. ლექტორები და სტუდენტები ჩაბმულები არიან ჯგუფურ მუშაობაში, თანამშრომლობით სწავლაში. ეს, თვითშეფასების ჯგუფის აზრით, უზრუნველყოფს ეფექტურ და ეფექტიან სწავლას და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აღწერილობით; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდით. ○ გასაუბრებით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში, III წლის I სემესტრში, სტუდენტი დგება არჩევანის წინაშე 4 საგანს შორის (5 ECTS): ARC 303 არქიტექტურული გრაფიკა, ARC 304 არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები II, ARC 305 არქიტექტურა დღეს, ARC 306 პროექტების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში II. შემდეგ სემესტრში სამ საგანთა შორის: ARC 353 უახლესი კონსტრუქციები, ARC 354 ურბანული დაგეგმარების საფუძვლები,და ARC 355 შენობა ნაგებობები; ხოლო IV კურსის I სემესტრში ARC 402 ინტერიერის დიზაინის საფუძვლები, ARC 403 გარემოს დიზაინი, ARC 404 მდგრადი არქიტექტურის საფუძვლები. ამ ათ საგანს ჯამში სულ 15 ECTS აქვთ. რეალურად სწავლის დასრულების და არქიტექტორის პროფესიის დაუფლების პირას მდგარი ბაკალავრიატის სტუდენტისთვის ეს, ექსპერტთა ჯგუფის

აზრით, სრულიად შეუძლებელი და უსამართლო არჩევანია: პრაქტიკულად ყველა აღნიშნული საგანი არა მხოლოდ საინტერესო, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია პროფესიონალის ჩამოყალიბებაში. ეს გარემოებაც წარმოადგენს, ექსპერტთა აზრით, შესაფასებელი პროგრამის გარკვეულ ნაკლს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აღწერილობით; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდით. ○ გასაუბრებით
რეკომენდაციები: ○ ექსპერტთა ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაკალავრიატის გამომშვებ სემესტრში გამომებნილიყო სათანადო საკრედიტო რესურსი და სავალდებულოთა კატეგორიაში გადასულიყო ის დისციპლინები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მაღალი კვალიფიკაციის არქიტექტორის უკეთ ჩამოყალიბებას. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ არჩევითი სოციოლოგია და მენეჯმენტი, რომლებიც წარმოდგენილია მე-4 კურსის მეორე სემესტრში (ანუ იმ დროს, როცა მიმდინარეობს სადიპლომო პროექტირება), შესაძლებელია გადანაცვლდეს უფრო ადრეულ პერიოდზე და შევიდეს უნივერსიტეტის სხვა სპეციალობებიდან შემოთავაზებულ დამატებით საგამანათლებლო პროგრამაში და/ან თავისუფალ კრედიტებში, ხოლო გამოთავისუფლებული 5 ECTS დამატებულიყო სადიპლომო პროექტს. ○ ასევე, ვინაიდან უნივერსიტეტის სხვა სპეციალობებიდან შემოთავაზებული დამატებითი საგამანათლებლო პროგრამა ან/და თავისუფალი კრედიტები ჯამში დისპროპორციულად დიდ ადგილს იკავებენ (70 ECTS), ექსპერტა ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს, რომ მე-7 და მე-8 სემესტრებიდან საერთოდ ამოღებულ იქნას უნივერსიტეტის სხვა სპეციალობებიდან შემოთავაზებული თავისუფალი კრედიტები და გამოთავისუფლებული 10 ECTS-დან სტუდენტს დამატებითი არჩევანი მიეცეს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სპეციალიზირებული საგნებიდან: ARC 303 არქიტექტურული გრაფიკა, ARC 304 არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები II, ARC 305 არქიტექტურა დღეს, ARC 306 პროექტების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში II, ARC 353 უახლესი კონსტრუქციები, ARC 354 ურბანული დაგეგმარების საფუძვლები, ARC 355 შენობა ნაგებობები; ARC 402 ინტერიერის დიზაინის საფუძვლები, ARC 403 გარემოს დიზაინი, ARC 404 მდგრადი არქიტექტურის საფუძვლები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება

☑ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამ ქვესტანდარტში ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს თვითშეფასების ანგარიშში აღწერილ ზოგადსაუნივერსიტეტო მეთოდებს, რომელთა საფუძველზე მოწესრიგებულია შეფასების კრიტერიუმები. სტუდენტის შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს მოცემული კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტთა შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე. ამავე თვითშეფასების ანგარიშში დაწვრილებით არის აღწერილი სტუდენტის შეფასება 100 ქულიანი სისტემით, შუალედური და საბოლოო გამოცდების გათვალისწინებით.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით. შეფასების საშუალებები შემდეგია:

- ✓ ტესტი/ქვიზი/საკონტროლო წერა;
- ✓ საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა;
- ✓ საშინაო დავალება;
- ✓ დისკუსია;
- ✓ ზეპირი გამოკითხვა;
- ✓ წერითი გამოკითხა;
- ✓ ესე;
- ✓ სემინარი;
- ✓ პრეზენტაცია;
- ✓ ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- ✓ შუალედური და დასკვნითი გამოცდა.

შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები დეტალური სახით მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამით, სილაბუსებით;
- ○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო პროგრამის სილაბუსებს, თვითშეფასების ანგარიშს და პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებს, სადაც, ავტორთა აზრით სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურადაა გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამაში და სასწავლო კურსების / კომპონენტის / პრაქტიკის სილაბუსებში. ისინი თვლიან, რომ სტუდენტი დროულად არის ინფორმირებული მიღებული შედეგებისა და ნაკლოვანებების შესახებ უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზის მეშვეობით და უშუალოდ საგნის ლექტორის მიერ. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული Smart Learning პლატფორმა ეფექტური საშუალებაა დროულად აღმოიფხვრას სწავლის პროცესში არსებული პრობლემები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამით, სილაბუსებით; ○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული Smart Learning-პლატფორმა პროგრამული უზრუნველყოფით.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასებული პროგრამა ახალია, შესაბამისად ამ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს არ ჰყავს და ვერ ეყოლება კურსდამთავრებულები. არქიტექტურაში შესაფასებელი ახალი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების მიღწევების და მათთან ინდივიდუალური მუშაობის შეფასების ობიექტურობისათვის, ექსპერტთა ჯგუფი, შეხვდა შავი ზღვის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტის მე3 და მე4 კურსის სტუდენტებს. აგრეთვე გაესაუბრა ამავე უნივერსიტეტის (პარალელური პროგრამის- ინფორმაციული ტექნოლოგიების) 2016 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ სტუდენტებს. გასაუბრების შედეგად ექსპერტთა ჯგუფს, ფაკულტეტის ახალ პროგრამაზე ჩამოუყალიბდა ადეკვატური და ობიექტური წარმოდგენა.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ხარისხის უზრუნველჰყოფის სამსახურთან გასაუბრების შედეგად - აგრეთვე, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან, სადაც გამოკვეთილადაა აღნიშნული Smart Learning პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც, ყოველ სტუდენტს საშუალება აქვს მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. მასში შედის სემესტრული გეგმა, ასევე პროფესორების მიერ მიწოდებული ყველა საჭირო ლიტერატურა, pdf ის ან ppt - ის სახით. სტუდენტს სასწავლო წლის დაწყებიდან ელექტრონულად მიეწოდება მის მიერ შერჩეული პროგრამის ფარგლებში სემესტრული გზამკვლევი.

შეხვედრამ დაადასტურა ის შთაბეჭდილება, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს თავიდანვე შეექმნა, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას. გამოვლინდა რომ სტუდენტი ღებულობს ადმინისტრაციისგან და აკადემიური პერსონალისგან მხარდაჭერას და სათანადო ინფორმაციას. ამით მას უმარტივდება სპეციალიზაციის არჩევისას თავისი პროფილის განსაზღვრა. სტუდენტთათვის შესაძლებელია აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობა როგორც ელექტრონულად, ასევე, სტუდენტების მტკიცებით, პირადი ურთიერთობა პედაგოგთან, შეხვედრები, გასაუბრები და მათგან საჭირო დახმარების მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

○ გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ○ კურსდამთავრებულთა მონიტორინგის ელექტრონული დოკუმენტაცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის და პროგრამის მიხედვით, აკადემიური პერსონალის სამუშაო გრაფიკი გულისხმობს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას. საკონსულტაციო დღეები და საათები დგინდება როგორც, ინდივიდუალურად სტუდენტებთან პირადი სურვილის გათვალიწინებით, ასევე სილაბუსების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენთა დაგეგმილი რაოდენობა - 10 კაცი წელიწადში, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შესაბამისობაშია უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო სივრცესთან და იმ უკვე არსებულ რესურსებთან, რომლებიც იქნება გამოყენებული ახალი არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისთვის. პროგრამის მიხედვით, სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა არა მარტო თეორიული საგნების ნაწილია, არამედ პრაქტიკაშიც მოიაზრება. ყოველი სტუდენტისთვის სავალდებულოა მიიღოს ოფისში-სახელოსნოში მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში, მხოლოდ სამი მემორანდუმი იყო დამსაქმებლებთან, ამ მემორანდუმებიდან ერთ-ერთი არის თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური, რომელიც თავისთავად შეძლებს დაასაქმოს სტუდენტების უმეტესი ნაწილი, რადგან პროგრამა არაა ძალიან დიდი და ამზადებს მერიის სამსახურისთვის შესაფერისი განათლების მქონე ბაკალავრებს არქიტექტურაში. სხვა დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად, მათ განაცხადეს, რომ არ გაუჭირდებათ სტუდენტების მეორე ნაწილის დასაქმება. სტუდენტების დასაქმება გათვალისწინებულია არქიტექტურის პროგრამის VI სემესტრის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- სემესტრული გეგმა
- უნივერსიტეტის დათვალიერება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით, მტკიცდება რომ უნივერსიტეტი მრავალმხრივ ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, მათ ხშირად უტარდებათ სემინარები და აქვთ სხვადასხვა კლუბები, რაც კურიკულიმის ფარგლებს გარეთ საშუალებას აძლევს სტუდენტებს უფასოდ მიიღონ დამატებითი გამოცდილება. პროგრამის ფარგლებს გარეთ, სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ არაერთ ღონისძიებაში, რომელიც ეწყობა, ძირითადად ინგლისურად ან იშვიათად ქართულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- სემესტრული გეგმა

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის უნივერსიტეტისთვის ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. უპირველეს ყოვლისა ამ უნივერსიტეტის სტუდენტების უდიდესი ნაწილი უცხოელებისგან შედგება, როგორც ევროპის ისევე ახლო აზიის ქვეყნებიდან. ამ უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების თქმით ურთიერთობა უცხოელებთან ხელს უწყობს გაიუმჯობესონ როგორც სალაპარაკო ენა ასევე თავიანთი მსოფლმხედველობა და შეიძინონ მეგობრები სხვადასხვა ქვეყნებში. ინტერნაციონალიზაციას უნივერსიტეტი ხელს უწყობს მრავლად სემინარების და ლექციების ორგანიზებით, რომელიც ძირითადად უცხოელების ეგიდით ტარდება. ხშირია კონფერენციები, როგორც ქართულ ისევე ინგლისურ ენაზე. სემინარის წარმართვის ენა დამოკიდებულია მოწვეულ პროფესორზე და არ უშლის ამ პროგრამის ფარგლებში ინლისურ სემინარებზე სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. სტუდენტებში ინგლისურის ცოდნის დონე იყო ძაან მაღალი და იმ ადეკვატური უნივერსიტეტის პოლიტიკასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასებ ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დღევანდელი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულიად დამაკმაყოფილებელია დაგეგმლი პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა ადმინისტრაციის ცნობით უახლოეს მომავალში იგეგმება ახალი საუნივერსიტეტო კამპუსის მიმდინარე მშენებლობის დასრულება, სადაც კიდევ უფრო გაუმჯობესებული იქნება პირობები პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად. რექტორის მტკიცებით, ეს პროგრამა არ მოითხოვს არანაირ დამატებით ხარჯებს, რადგან უნივერსიტეტში საკმარისია სივრცე და აუდიტორიები,

ყველაფერი აღჭურვილია, ანუ ხარჯი უკვე გაწეულია და სტუდენტების გადასახადი საკმარისია დამატებითი ფინანსური ხარჯების დასაფარად.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით სტუდენთა დაგეგმილი რაოდენობა - ყოველწლიურად 10 სტუდენტი პროგრამის განხორციელების პირველ პერიოდში - შესაბამისობაშია უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო სივრცესთან და იმ უკვე არსებულ რესურსებთან, რომლებიც იქნება გამოყენებული ახალი არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისთვის.

ვიზიტის დროს დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშით აღწერილი: უნივერსიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და კეთილმოწყობა, საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში კი – სახანძრო უსაფრთხოება და საევაკუაციო პირობები. გამართულად ფუნქციონირებს გათბობის, ვენტილაციის, კონდიცირების, განათების სისტემები და სველი წერტილები. კაბინეტ-ლაბორატორიები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. უნივერსიტეტს ჰყავს მედდა, სამედიცინო პუნქტში არის პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტები და აღჭურვილობა.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე Smart learning პროგრამაში განთავსდება ლექტორების მიერ მომზადებული სლაიდ-შოუ და სხვა დამხმარე მასალა, ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით.
შზსუ არის შემდეგი ელექტრონული ბიბლიოთეკების დარეგისტრებული წევრი:

http://search.epnet.com
www.oxfordjournals.org
www.journals.cambridge.org

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ბიბლიოთეკის კატალოგით და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოებით;
- შესაბამისი ტექნიკის არსებობით აუდიტორიებში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდით;
- შზსუ -ში ვიზიტით

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს პროგრამის განმახორციელებლებს შექმნან სტუდია/სახელოსნო, რათა შემოქმედებითი პროცესი უკეთ იქნას უზრუნველყოფილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალი თუ რამდენად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება მათი სამეცნიერო ხარისხებით, სამეცნიერო ნაშრომებით და პრაქტიკული გამოცდილებით და თვლის რომ შეესაბამება მოთხოვნებს. გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით, როგორიც არის: აღნიშნული პერსონალის მიერ წარმოდგენელი უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, რითაც დგინდება ამა თუ იმ პერსონალის იმ სასწვლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რომელშიც იგი მონაწილეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამით, სილაბუსებით; ○ პროგრამაში მონაწილე ადამიანური რესურსის მიერ უნივერსიტეტის კანცელარიაში წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მათ მიერ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, დამხმარე და ძირითად აკადემიურ პერსონალთან შეხვედრით, ასევე თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო რაოდენობის და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით: ადმინისტრაციული პერსონალი - დეკანი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები, პროგრამის ხელმძღვანელი (კოორდინატორი), დამხმარე პერსონალი - სასწავლო პროცესის ადმინისტრატორები, ბიბლიოთეკის პერსონალი, ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვიზიტით ○ გასაუბრებით ○ თვითშეფასების ანგარიშით, სილაბუსებით, პროგრამით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო მასალას და თვლის, რომ ის არის აქტუალური და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. ადგილზე მოხდა დათვალიერება ბიბლიოთეკისა, რომელიც განთავსებულია სასწავლო კორპუსში და სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი, ასევე სხვა სასწავლო მასალა, რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებული ლიტერატურის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომობას. უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა, კერძოდ, EBSCO Host (http://search.epnet.com), Cambridge University Journals (http:// journals.cambridge.org, Royal Society Journals Collection (http:// royalsocietypublishing.org/journals/). თვითშეფასების კითხვარზე დაყრდნობით, სასწავლო პროცესში ასევე გამოიყენება ლექტორთა პირადი ბიბლიოთეკა, ლექტორების მიერ სისტემატიურად ხორციელდება სასწავლო მასალებისა და სლაიდების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (Smart პორტალზე) ატვირთვა, ძირითადად გამოიყენება ცნობილი ავტორების მიერ შედგენილი თანამედროვე (ბოლო 10-15 წლის განმავლობაში) დასავლური ლიტერატურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდით; ○ პროგრამით, სილაბუსებით; ○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდით.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის დროს, ადმინისტრაციასთან შეხვედრისას რექტორმა განაცხადა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ცენტრალიზებული ფინანსური გეგმის შესახებ (იგივე ინფორმაცია იკითხება თვითშეფასების ანგარიშშიც) რის გამოც, ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამას საკუთარი ფინანსური გეგმა არ გააჩნია, თუმცა ხდება შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსირება უნივერსიტეტის დონეზე. პროგრამის ბიუჯეტი ინტეგრირებულია საუნივერსიტეტო ბიუჯეტში და ჩაშლილია შესაბამისი პუნქტების მიხედვით (ადამიანური და მატერიალური რესურსები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიუჯეტით; ○ გასაუბრებით ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები ადასტურებენ რომ მათ აქვთ საშუალება ანონიმურად შეაფასონ, როგორც კონკრეტული საგანი ან განაცხადონ ნებისმიერი სახის პრეტენზია როგორც პირადად დეკანთან, პედაგოგთან, ან პროგრამის ხელმძღვანელთან მისვლით, ისევე უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურში. მათ შეუძლიათ ანონიმურად შეაფასონ პროგრამა Smart Learning სისტემის მეშვეობით. ხარისხის მართვის სამსახურის განცხადებით, ანონიმური შეფასებები სემესტრის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ტარდება, შეფასების კრიტერიუმები ცვალებადია. რაც ინარჩუნებს სტუდენტების მხრიდან დაინტერესებას და მათ არ ბეზრდებათ შეფასებების კეთება. თვითშეფასების ანგარისის მიხედვით, გაცხადებულია: *„უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა: ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ყველა საფეხურზე: მის დაგეგმვაში, განხორციელებაში (მიმდინარე შეფასებები, მათი შედეგების ანალიზი), შემოწმებასა და განვითარებაში. თვითშეფასების შედეგად დადგენილი სირთულეების გასწორება განხორციელდება ყოველწლიურად."* უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ პროგრამის წარმატებულობა და მისი ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მიზანმიმართული პოლიტიკაა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, ჯერ ამ პროგრამს შედეგების განხილვა შეუძლებელია, თუმცა ექსპერთა ჯგუფის ვიზიტის დროს უნივერსიტეტის, პარალელური პროგრამებიდან წარმოდგენილი ხარისხის შეფასების ელექტრონული კვლევის დოკუმენტები, ადასტურებს უნივერსიტეტის მიზანმიმართულ სწრაფვას ხარისხის გაუმჯობესებისკენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გასაუბრებით ○ ვებ-გვერდით www.ibsu.edu.ge
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაფასებელი პროგრამა ახალია და მისი შედეგების განხილვა შეუძლებელია. საექსპერტო ჯგუფისთვის მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია SWOT ანალიზი, სადაც გაწერილია პროექტის სუსტი და ძლიერი მხარეები. ხაზგასმულადაა პროგრამის მომავალი, როგორც ამ პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი ასპექტი. ამ დოკუმენტში ასახულია პროგრამის განვითარებისა და მასში ჩართული სტუდენტებისა და ლექტორების მომავლის პერსპექტივები. გასაუბრების დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განცხადებით, აგრეთვე თვითშეფასების ანგარიშიდან გამომდინარეობს, რომ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, ჩაერთვებიან Smart Learning სისტემაში. ეს პლატფორმა უზრუნველყოფს მოსწავლის და მასწავლებელს შორის არამარტო ინფორმაციის ურთიერთ გაცვლას, არამედ ამ პროგრამის ფარგლებში მისი ყველა ასპექტის ანონიმურად შეფასებას. შეფასება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის მხრიდან ისევე სტუდენტებისთვისაც. ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურის განმარტებით ეს განაპირობებს ამ პროგრამის ზრდას უკეთესობისკენ და მის წარმატებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით; ○ გასაუბრებით ○ ვებ-გვერდით www.ibsu.edu.ge
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: არქიტექტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		
საბოლოო შეფასება			✓

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: არქიტექტურა

დასკვნის გაკეთების რიცხვითობა: 35

პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამისობა

ტანდარტები	შესაბამისობაშია მითითებულთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მითითებულთან	არ არის შესაბამისობაში მითითებულთან
. საგანმანათლებლო პროგრამის ეზანი. სწავლის შედეგები და ათვან პროგრამის შესაბამისობა			
. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების კვანების ადეკვატურობა			
. ხელმისაწვდომი მიდგომები, მათთან სიდიფერენციალური მოქმედება			
. სწავლების რესურსებით ოთ ქრთუნველყოფა			
. სწავლების ხარისხის კანკითარების ესაძლებლობები			
ბოლოთ შეფასებ			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: